პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული
ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა
და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО
ОРГАН КОМИТЕТА ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ
И СПОРТУ ПРИ СОВЕТЕ МИНИСТРОВ ГССР
И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

1 ნოემბერი, ხუთშაბათი, 1984 წ.
№ 209 (7770) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

თბილისში მიმდინარეობს საქართველოს პირად-გუნდური ჩემპიონატი თანამედროვე ხუთჭიდში, რომელშიც მონაწილეობს „დინამოსა“ და „ბურევესტნიკის“ 30-მდე უძლიერესი ხუთჭიდელი. ამ შეჯიბრებაში პირველად ასპარეზობენ გოგონები: ეთერი ღონღაძე, ოლგა დოჩირინა და ტატიანა ჩერნიშოვა.

სამ სახეობაში ასპარეზობის შემდეგ (ფარიკაობა, ცურვა, ცხენოსნობა), პირად პირველობაში დინამოელი სპორტსმენები დაწინაურდნენ. პირველ ადგილზეა იური ვერბიცკი — 3162 ქულა, მეორეზე იგორ ბრიზგალოვი — 3136, მესამეზე — გიორგი გოგუაძე 3068. გუნდურ პირველობაში ლიდერობს „დინამო“ — I, მეორე ადგილზეა „დინამო“ — II, მესამეზე „ბურევესტნიკი“ — I.

გუშინ საღამოს ხუთი სახეობის რაინდებმა ისპარეზეს პისტოლეტიდან მოძრავ სილუეტზე სროლაში. შეჯიბრება ვაშლიჯვარის სასროლეთზე გაიმართა. ამ სახეობაში უძლიერესი იყო ოთარ კიკნაძე, ვალერი სიროტკინი (ორივე „დინამო“ — II) და იური ვერბიცკი შესაბამისად II და III იყო. სამივე სპორტსმენმა 193-193 ქულა მოაგროვა 200 შესაძლებლიდან, ვერბიცკი ლიდერობას ოთხ სახეობაში ასპარეზობის შემდეგაც ინარჩუნებს.

გოგონათა შორის დაწინაურდა ეთერი ღონღაძე.

სურათზე: იური ვერბიცკი.
ჯემალ კახრაძის ფოტო.

ინფორმაცია

ჭადრაკი

გუშინ მოსკოვში, კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში გაიმართა ანატოლი კარპოვ — გარი კასპაროვის მატჩის მეოცე პარტია. თეთრებით პრეტენდენტი თამაშობდა. მე-15 სვლაზე დიდოსტატები ყაიმზე შეთანხმდნენ.

ანგარიში კვლავ უცვლელია — 4:0 კარპოვის სასარგებლოდ.

• • •

კიევში, საბჭოთა კავშირის მოჭადრაკე ქალთა 44-ე ჩემპიონატის ფინალურ ტურნირში XII ტურის პარტიები გაიმართა.

ყურადღების ცენტრში იყო ახმილოვსკაიას შეხვედრა შეჯიბრების ლიდერ ჩელუშკინასთან. ზედიზედ რამდენიმე მარცხის შემდეგ ბიჭვინთელმა დიდოსტატმა ლამაზ სტილში სძლია მეტოქეს. ხუგაშვილმა შავი ფიგურებით საკმაოდ სწრაფად (24-ე სვლაზე) აიძულა კულიკოვა დანებებოდა. ახშარუმოვამ მოუგო ლიტინსკაიას, ხოლო მუჩნიკი და სახატოვა დაზავდნენ. იოსელიანს მოსაგებ პოზიციაში აქვს გადადებული პარტია ეპშტეინთან, არახამიასაც უკეთესი პოზიცია აქვს ხოროვეცთან. რთულ პოზიციაში გადაიდო პოლნარევა — რაუსეს პარტია, ყაიმია მოსალოდნელი მატვეევა — შაფრანსკას შეხვედრაში.

ამრიგად, 12 ტურის შემდეგ ლიდერებს — სვეტლანა მატვეევას (ფრუნზე), ირინა ჩელუშკინას (ლვოვი) და ქეთევან არახამიას 7-7 ქულა აქვთ, ოღონდ მატვეევას ორი, ხოლო არახამიასა და ჩელუშკინას თითო გადადებული პარტია აქვთ დასამთავრებელი. შემდეგ მოდიან ნანა იოსელიანი და გულნარა სახატოვა (ალმა-ათა) — 6,5-6,5 ქულა და ორ-ორი გადადებული პარტია. თამარ ხუგაშვილი 6 (2); ანდა შაფრანსკა (რიგა) და ლარისა მუჩნიკი (ნიკოლაევი) 6-6 (1-1); ელენა ახმილოვსკაია 5 (1).

სროლა

სოხუმში, „დინამოს“ სპორტკომპლექსზე მიმდინარეობს სსრ კავშირის ჩემპიონატი და თასის გათამაშება ტყვიის სროლაში, შეჯიბრების პროგრამაშია მხოლოდ არაოლიმპიური სახეობები.

სპორტსმენები კარგად მომზადებული გამოდიან და საკმაოდ მაღალ შედეგებსაც აჩვენებენ. ასე მაგალითად, მვ-9 ვარჯიშში პირველი ადგილი დაიკავა მოსკოველმა ი. ფედკინმა, რომელმაც 599 ქულა მოაგროვა. გამარჯვებულს მხოლოდ 2 ქულით ჩამორჩნენ თბილისელი გ. სარუხანოვი და კიეველი ა. ბულკინი — 597. II ადგილი თბილისელ სპორტსმენს მიეკუთვნა, უკრაინელი მსროლელი მესამე ადგილზე გავიდა.

სხვათა შორის, 24 წლის ი. ფედკინმა კიდევ ერთ სახეობაში იმარჯვა. იგი პირველი იყო ვპ-6 ვარჯიშშიც — 584 ქულა.

შეჯიბრების მონაწილეებმა განსაკუთრებით მაღალი შედეგი აჩვენეს „გაქცეულ ტახზე“ სროლაში. პირველი ათეულის ყველა მონაწილემ შეჯიბრება საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის შედეგით დაამთავრა, პირველი ადგილი კი მინსკელ ნ. დედოვს მიეკუთვნა — 592 ქულა.

მპ-6 ვარჯიშში ყველას აჯობა გროდნოელმა ი. ბასინსკიმ — 565 ქულა.

ჩოგბურთი

16 წლის თბილისელმა სპორტსმენმა ვლადიმერ გაბრიჩიძემ წარმატებით ისპარეზა სირიის დედაქალაქ დამასკოში გამართულ საერთაშორისო ტურნირში. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ ბულგარეთის, უნგრეთის, ირანის, კვიპროსის, საუდის არაბეთის, მალტის, სირიისა და საბჭოთა კავშირის ჩოგბურთელები. ერთეულთა თანრიგის ფინალურ შეხვედრაში გაბრიჩიძის მეტოქე იყო ასევე საბჭოთა კავშირის წარმომადგენელი, ლვოველი ვლადიმერ კროჩკო. საინტერესოა, რომ ტაშკენტში ახლახან დამთავრებულ მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადის ფინალშიც ეს ჩოგბურთელები შეხვდნენ ერთმანეთს. მაშინ კროჩკომ გაიმარჯვა, ამჯერად კი გაბრიჩიძემ დამაჯერებელი რევანში აიღო (6:4, 6:4) და პირველი პრიზი მოიპოვა. წყვილთა თანრიგში ფინალისტები ერთად ასპარეზობდნენ და II ადგილი დაიკავეს. გადამწყვეტი შეხვედრა მათ ირანელ სპორტსმენებთან დათმეს.

დნეპროპეტროვსკში ჩატარდა ვეტერან ჩოგბურთელთა საკავშირო შეჯიბრება, რომელშიც საქართველოს წარმომადგენლებიც მონაწილეობდნენ. 35-დან 45 წლამდე ასაკის სპორტსმენთა შორის ტურნირის აბსოლუტური გამარჯვებულის წოდება მოიპოვა ნინო თუხარელმა, რომელმაც ყველას აჯობა ერთეულთა თანრიგში, შერეულ წყვილთა ასპარეზობაში (ლეონარდ მძინარიშვილთან ერთად) და წყვილთა შეჯიბრებაში (კიეველ ე. კომულოვასთან ერთად). ვაჟთა შორის ბადალი არ ჰყავდა მძინარიშვილს.

50-60 წლის ჩოგბურთელ ვაჟთა ტურნირში I ადგილი მოიპოვა საქართველოს დამსახურებულმა მწვრთნელმა გიორგი ლარიბაშვილმა. მანვე მძინარიშვილთან ერთად მოიგო წყვილთა ასპარეზობა.

წყალბურთი

ტაშკენტი. გაიმართა წყალბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის მორიგი ტურის მატჩები იმ გუნდებისთვის, რომლებიც VII-XII ადგილებისთვის იბრძვიან.

თბილისის „დინამო“ დამარცხდა ორჯერ. მოსკოვის ტორპედოელებთან შეხვედრაში ბრძოლის ბედი გადაწყდა მეოთხე პერიოდში. მანამდე კი ვერც ერთმა მეტოქემ ვერ მიაღწია უპირატესობას. სამი პერიოდის შემდეგ ანგარიში იყო 4:4. მერე კი დაწინაურდნენ მოსკოველები, რომლებმაც მოიგეს კიდეც ბრძოლა — 7:6.

მეორე მარცხი თბილისელებმა ბაქოელ წყალბურთელებთან შეხვედრაში იწვნიეს. კასპიის წითელდროშოვანი ფლოტილიის გუნდმა გაიმარჯვა 10:7 (1:1, 3:2, 3:2, 3:2).

სხვა შეხვედრები დამთავრდა ასე: კწფ (ბაქო) — „დინამო“ (ლვოვი) 8:8 (3:2, 1:3, 3:1, 1:2), „მეხნატი“ (ტაშკენტი) — „მოსკვიჩი“ 7:7 (5:4, 0:1, 1:1, 1:1), „ტორპედო“ (მოსკოვი) — „მოსკვიჩი“ 8:10 (2:4, 2:1, 1:3, 3:2), „დინამო“ (ლვოვი) — „მეხნატი“ 8:10 (2:2, 1:2, 2:4, 3:2).

ფიგურული ციგურაობა

ვოლგოგრადი. აქ გრძელდება საერთაშორისო ტურნირი ფიგურულ ციგურაობაში სსრ კავშირის პროფკავშირების პრიზზე. წყვილთა სრიალში პრიზიორები ასეთი თანმიმდევრობით განლაგდნენ: 1. ი. ბისტროვა — ა. ტარასოვი, 2. გ. სოროკინა — ი. გუსენკო (ყველა — სსრ კავშირი), 3. პ. ზაიდელი — რ. ზაიფერტი (გდრ).

ბალახის ჰოკეი

ანდიჟანი. დაიწყო ბალახის ჰოკეისტ ვაჟთა გუნდების საკავშირო თასის ფინალური მატჩები. ტექნიკური შედეგები: ასკ (სვერდლოვსკი) — „ხიმიკი“ (ფერგანა) 4:0, „ფილი“ (მოსკოვი) — „სპარტაკი“ (სამარყანდი) 4:0, „დინამო“ (ალმა-ათა) — „ვოლნა“ (ლენინგრადი) 8:1, „ზვეზდა“ (ანდიჟანი) — „ისკრა“ (ვასილკოვი) 1:1.

კალათბურთი

პლევენი. ბულგარეთის ამ ქალაქში კაუნასის „ჟალგირისმა“ ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის გათამაშების პირველი მატჩი ჩაატარა ადგილობრივ „სპარტაკთან“. სტუმრებმა პირველი ნახევარი მხოლოდ 9 ქულის უპირატესობით მოიგეს — 54:45, სამაგიეროდ მეორე ტაიმი უფრო აქტიურად ჩაატარეს და გაიმარჯვეს 24 ქულის სხვაობით — 108:84.

განმეორებითი შეხვედრა 6 ნოემბერს კაუნასში გაიმართება.

იპოდრომზე მხედრების სიმრავლეა

თბილისის სახელმწიფო იპოდრომზე საზეიმოდ გაიხსნა საქართველოს განათლების სამინისტროს ბავშვთა და მოზარდთა ცხენოსნობის რესპუბლიკური სპორტული სკოლის პირად-გუნდური პირველობა. პარალელურად დაიწყო ბელორუსიის, ლატვიის, ყაზახეთის, ლენინგრადისა და საქართველოს მოსწავლე ცხენოსანთა ნაკრები გუნდების სამატჩო შეხვედრაც, რომელიც წლეულს მეოთხედ ტარდება.

საქართველოს მოსწავლეთა ნაკრები ამჯერად სამი გუნდითაა წარმოდგენილი, ლატვიიდან ორი გუნდი ჩამოვიდა, დანარჩენი რესპუბლიკები თითო გუნდით ასპარეზობენ. ყოველ გუნდში 3 სპორტსმენია, შეჯიბრების 28 მონაწილიდან 7 გოგონაა.

ცხენოსნობის ბავშვთა და მოზარდთა რესპუბლიკური სპორტსკოლის მოსწავლეები პირველ დღეს სამანეჟო სვლაში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს, ხოლო სამატჩო შეხვედრის მონაწილეებმა დაბრკოლებათა გადალახვაში „გახსნის პრიზზე“ ისპარეზეს. ამ სახეობაში შეჯიბრება ერთ გიტად ჩატარდა. „გახსნის პრიზი“ მოიპოვა ლენინგრადის გუნდის წარმომადგენელმა, პირველთანრიგოსანმა ნიკოლოზ ნემჩუკმა. მეორე ადგილზე გავიდა საქართველოს მესამე გუნდის წევრი, ოსტატობის კანდიდატი კახა კიკიანი, მესამეზე — ასევე ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელი დავით გაგლოევი (II ნაკრები).

გუნდურ ჩათვლაში „გახსნის პრიზი“ 17 საჯარიმო ქულით მოიგო საქართველოს მეორე ნაკრებმა. მეორე ადგილზეა ლატვიის პირველი გუნდი (24 საჯარიმო ქულა), მესამეზე — ლატვიის მეორე ნაკრები (40).

თამაზ ქიქავა.

• • •

სურათზე: ხარბიელზეა კახა კიკიანი.

ზურაბ ხორავას ფოტო.

არც თუ იშვიათად გაიგონებთ: ბავშვთა სპორტში მუშაობა უმადური საქმეაო. დრო მოდის და ხამწრის ოფლით ნაპოვნი, ნალოლიავები და გაზრდილი სპორტსმენები უფრო „ტიტულოვან“ მწვრთნელებთან გადადიან და მთელი ამ შრომის ნაყოფსაც მათი ახალი აღმზრდელები იმკიან. ამ უმადურობამ ბევრს გული გაუტეხა და საქმეზე ხელი ააღებინა, ანდა მოზრდილთა მწვრთნელობა დააწყებინა. მაგრამ, საბედნიეროდ, ნორჩი სპორტსმენების ბევრი აღმზრდელი ყველაფრის მიუხედავად შეუპოვრად განაგრძობს საყვარელ საქმიანობას. მძლეოსანთა მწვრთნელი გოგი გოზალიშვილი ერთ-ერთი მათგანია.

ალღო მწვრთნელის ნიჭია

მომცრო ტანის წნორელი ბიჭი საქართველოს ჩემპიონატზე შეამჩნია მძლეოსანთა ცნობილმა მწვრთნელმა ბორის ტახტაროვმა, მოეწონა და თბილისში გადმოსვლა შესთავაზა. ბიჭსაც ბევრი არ უყოყმანია, მშობლები დაითანხმა და მოკლე ხანში თბილისში გადმობარგდა. „მაშინ უკვე სპორტით ვიყავი „დაავადებული“ და უარს როგორ ვეტყოდი“...

მძლეოსნობაში, ველოსპორტში და საერთოდ სპორტის „ინდივიდუალურ“ სახეობებში შეიძლება ისეც მოხდეს, რომ ერთი ჩემპიონის მომზადებით მწვრთნელმა საქვეყნოდ გაითქვას სახელი. ამ წარმატებას ბევრი განსაკუთრებული უნარის წყალობით აღწევს, ზოგს ბედი გაუღიმებს ხოლმე და ფენომენალური მონაცემებით დაჯილდოებული ახალგაზრდა შეხვდება. მაგრამ როდესაც მწვრთნელს ჯგუფში გამოუელევლად ჰყავს მის მიერვე აღმოჩენილი კარგი სპორტსმენები, მისი, როგორც სპეციალისტის შესაძლებლობები უკვე ეჭვს აღარ იწვევს. მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადას ჯერ ისე არ ჩაუვლია, რომ გოგი გოზალიშვილის ერთ მოწაფეს მაინც არ გამოეჩინა თავი.

როგორც მწვრთნელი, თავის მასწავლებელს ბორის ტახტაროვს უმადლის. ტახტაროვისაგან ისწავლა ერთის შეხედვით ჩვეულებრივ მოზარდში მომავალი ჩემპიონის გამოცნობა.

ახმეტაში მოსწავლეთა ერთ-ერთ შეჯიბრებას ადევნებდა თვალს. 800 მეტრზე რბენა არც ისე მაღალ ტემპში მიმდინარეობდა. ფინიშამდე სამასიოდე მეტრით ადრე ჯგუფს ციცქნა გოგონა გამოეყო და ლამაზი ფინიშით მოიგო გარბენი. ზოგიერთს შეიძლება გამარჯვებულისთვის ყურადღება არ მიექცია — ახმეტელი გოგონა თავის ასაკთან შედარებით ცეროდენა ჩანდა, მაგრამ... „სხვადასხვა ტესტების და სხეულის აგებულების მიხედვით სპორტსმენთა შერჩევა ხომ ყველა მწვრთნელს უნდა შეეძლოს, მაგრამ რაღაც განსაკუთრებული ალღოც თუ არა გაქვს, შეიძლება საუკეთესო „მასალა“ გაუშვა ხელიდან“... სპეციალისტის ასეთი ალღოს წყალობით ახმეტელი ლეილა წინწალაშვილი მალე გლდანის სპორტულ სკოლა-ინტერნატში გადმოვიდა სასწავლებლად და რამდენიმე წლის შემდეგ იუნიორთა შორის საბჭოთა კავშირის ჩემპიონიც გახდა.

სწორედ ამ ინტერნატთან არის დაკავშირებული გოგი გოზალიშვილის მთელი საქმიანობა. თვითონაც ეს სასწავლებელი დაამთავრა, აქვე სწავლობს ყველა მისი აღსაზრდელიც.

მწვრთნელმა თავისი საუკეთესო მოწაფე მაია აზარაშვილიც მოსწავლეთა შეჯიბრებაზე ნახა: 12 წლის გოგონამ 60 მეტრზე რბენაში თანატოლ და ცოტა უფროს ბიჭებსაც კი აჯობა. მაია მაშინ ჩოგბურთში ვარჯიშობდა და მძლეოსანთა შეჯიბრებაზე საერთო ფიზიკური განვითარებისთვის გამოიყვანეს. წინწალაშვილი ადვილად დაითანხმა მწვრთნელმა, მაგრამ მაიას დაყოლიება არც ისე იოლი აღმოჩნდა. მისი მშობლები მზად იყვნენ შერიგებოდნენ ცვლილებას (დედა ადრე მძლეოსანი იყო), მაგრამ გოგონა ტიროდა და არ სურდა ჩოგბურთის მიტოვება. გოზალიშვილმა მთელი თავისი პედაგოგიური უნარი გამოიყენა და გოგონა მძლეოსნობით დააინტერესა. ასე რომ არ გამოედო თავი, ჩვენი მძლეოსნობა უკანასკნელი წლების ერთ-ერთ უნიჭიერეს წარმომადგენელს დაკარგავდა.

თუმცა ლეილა მაიაზე ორი წლით უფროსი იყო, რესპუბლიკურ და საკავშირო სარბიელზე მათ თითქმის ერთდროულად მიაღწიეს წარმატებას. გოზალიშვილი ორივე გოგონას გულმოდგინედ ამზადებდა სპორტული მწვერვალების დასაპყრობად. ცოტა ჯიუტ, იმპულსურ და მუდამ გამარჯვების მსურველი ლეილას წვრთნას სულ სხვა ენერგია და ტაქტი სჭირდებოდა, შრომისმოყვარე და უშიშარ (მეტოქეთა ავტორიტეტს აინუნშიაც არ აგდებდა) მაიასთან მუშაობას კიდევ სულ სხვა. ყველამ როდი იცის, რომ სპრინტსა და საშუალო მანძილზე რბენის დაუფლების მეთოდი შესამჩნევად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. გოზალიშვილს სპრინტის, თარჯრბენისა და ხტომის „ავან-ჩავანი“ კარგად ესმოდა, მაგრამ საშუალო მანძილზე მორბენლის წვრთნა პირველად მოუხდა (ინტერნატში ამ საქმის სპეციალისტი არ იყო). მწვრთნელმა დასახმარებლად... სახელმძღვანელოებს მიმართა. არც სპეციალისტებისთვის რჩევა-დარიგების თხოვნას მორიდებია. საწვრთნელ შეკრებებზეც წინწალაშვილს ახალციხელ სპეციალისტს თენგიზ ჯიშკარიანს გააყოლებდა ხოლმე. იქნებ იკითხოთ, რატომ იჭირვებდა, მიებარებინა მოწაფე სხვა მწვრთნელისათვის და თვითონ დანარჩენებისთვის მიეხედაო. მაგრამ საქმე ის იყო, რომ თვითონ მოწაფეს არ სურდა თავისი მწვრთნელის მიტოვება. მათ ისე კარგად გაუგეს ერთმანეთს, რომ ამ ურთიერთგაგებას სხვა სპეციალისტის უფრო მეტი გამოცდილებაც კი ვერ გადაწონიდა.

ისე არ იფიქროთ, რომ გოგი გოზალიშვილის, როგორც მწვრთნელის დამსახურება, მხოლოდ აზარაშვილისა და წინწალაშვილის წარმატებებთან იყოს დაკავშირებული.

...ენთუზიაზმით აღსავსე ახალგაზრდა სპეციალისტი ფიზკულტურის ინსტიტუტის წარჩინებით დამთავრების შემდეგ 1968 წელს გლდანის სპორტულ სკოლა-ინტერნატში გაანაწილეს სამუშაოდ. უნდა ითქვას, რომ მუშაობის დაწყება მას საკმაოდ ძნელ პირობებში მოუწია. ზამთარში, ინტერნატის ვიწრო, ბნელ და მოუხერხებელ მანეჟში ვარჯიშს მოწაფეებზე დამთრგუნველად რომ არ ემოქმედა, გოზალიშვილს იქ რადიოლა მიჰქონდა ხოლმე და სპორტსმენებს შესვენებისას ხალისიანი სიმღერებით ართობდა. თვითონ ინტერნატიდან საკმაოდ მოშორებით ცხოვრობდა, ამიტომაც ბინაც იქვე ახლოს დაიქირავა, რათა დილიდან დალამებამდე თავის მოწაფეებთან ყოფილიყო.

1970 წელს მისი მოწაფე ნოდარ აბუაშვილი 110 მეტრზე თარჯრბენში საბჭოთა კავშირის ჩემპიონი გახდა 16-17 წლის მძლეოსანთა შორის. სპრინტერმა დავით გიგაურმა კი ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. კარგად გამოვიდა ბესიკ ვეშაგურიძეც. ამ სპორტსმენზე ღირს ვრცლად შევჩერდეთ. უაღრესად შრომისმოყვარე და შესანიშნავი მონაცემებით დაჯილდოებულ მძლეოსანს დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ. 1972 წელს მან მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადაზე ბრინჯაოს მედალი მოიპოვა 110 მ თარჯრბენში. მაგრამ მწვრთნელისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო მათი გზები გაიყარა და ვეშაგურიძემ ადრე მიატოვა სპორტი.

ნაადრევად გამოემშვიდობა მძლეოსნობას ლეილა წინწალაშვილიც. ეს ნაწილობრივ იმის ბრალიც იყო, რომ გადაწყვიტეს სპორტსმენისთვის უფრო „კომპეტენტური“ მწვრთნელი გამოენახათ. არადა ახმეტელი მძლეოსნის სპორტული გზა ერთხანს წარმატებათა კიბედ იქცა (საოცარია, მაგრამ გოზალიშვილის თითქმის ყველა მოწაფე ჩავარდნების გარეშე ზრდიდა შედეგებს). 1979 წელს 16-17 წლის მძლეოსანთა საკავშირო პირველობაზე წინწალაშვილმა საშუალო მანძილებზე რბენის ორივე დისტანცია მოიგო, ამასთან ორივე შედეგი (800 მ—2.12,8; 1500 მ—4.37,6) საუკეთესო იყო ქართული სპორტის ისტორიაში. იმავე წელს ლეილას სულ ცოტა დააკლდა იმისათვის, რომ პოპულარული შეჯიბრების გაზეთ „პრავდის“ კროსის პირველი ქართველი ლაურეატი გამხდარიყო. ერევანში გამართულ ასპარეზობაში 1500 მეტრიან დისტანციაზე ფინიშამდე ხუთიოდე მეტრით ადრე რატომღაც უკან მოიხედა და სწორედ ის 0,1 წამი დაჰკარგა, პირველ ადგილზე გასულ მძლეოსანთან რომ წააგო. მაგრამ მალე მან ჩვენი ქართველი სპორტსმენებიდან პირველად შეასრულა სპორტის ოსტატობის ნორმატივი საშუალო მანძილზე რბენაში— სოჭში, საკავშირო ახალგაზრდულ ჩემპიონატში 1500 მეტრი 4.18,7 გაირბინა და მეორე ადგილი დაიკავა. იგი მეორე იყო 800 მეტრიან დისტანციაზეც (2.06,9). შემდეგ კი საბჭოთა კავშირის მოზარდთა ნაკრების შემადგენლობაში წარმატებით გამოდიოდა აშშ-ში, ბელგიაში, შვეიცარიაში და ჩეხოსლოვაკიაში გამართულ შეჯიბრებებში. ნიჭიერ სპორტსმენს ყველაფერი წინ ჰქონდა, მაგრამ...

საერთოდ, ნორჩ სპორტსმენთა მწვრთნელებს, ადრე თუ გვიან, თავიანთი მოწაფეების სხვისთვის „გადაცემა“ უხდებათ. ამას ბევრი მტკივნეულად განიცდის. მართლაც, განა იოლია შვილივით შეთვისებულ მოწაფეს დაშორდე? არც გოზალიშვილს უადვილდება ეს პროცესი, მაგრამ როდესაც რწმუნდება, რომ მოწაფეს საიმედო სპეციალისტს აბარებს, გული ნაკლებად ეთანაღრება. ამიტომ იყო რომ მაია აზარაშვილს თვითონაც კი ურჩია ანდრო ბედუკაძის ჯგუფში გადასულიყო სავარჯიშოდ. აქ მწვრთნელმა თვით სპორტსმენის პირად ცხოვრებას გაუწია ანგარიში. ყოფილა შემთხვევა, როცა ზოგიერთ აღზრდილთან დაშორება ნაადრევი მიუჩნევია და აკი მისი მოსაზრება მართალიც გამომდგარა.

რამდენ პერსპექტიულ სპორტსმენს გაუვლია გოგი გოზალიშვილის ხელში. მისი აღზრდილები გიორგი დინგაშვილი, ოთარ წიკლაური, ლევან ფარცვანია და სხვები წარმატებით გამოდიოდნენ საკავშირო შეჯიბრებებში თანატოლთა შორის, მაგრამ მაია აზარაშვილის წარმატებამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა (ეს ჩვენთვის, თორემ თავისი მოწაფის მომავალი მწვრთნელმა ადრევე განჭვრიტა). მაია ჯერ 14 წლისაც არ იყო, რომ სპორტის ოსტატობის კანდიდატის ნორმატივი შეასრულა, შემდეგ კი თანატოლთა შეჯიბრებებში ჩვენშიც და საზღვარგარეთ, წარმატებას წარმატება მოჰყვა. ამჟამად საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი მაია აზარაშვილი ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი საუკეთესო მორბენალია 200 მეტრიან დისტანციაზე. სხვათა შორის, ამ დისტანციასაც როგორღაც თავისთავად „მიაგნეს“. „მთავარია ბავშვი ყოველმხრივ მოამზადო, შემდეგ გაადვილდება იმის დანახვა, თუ რომელ სახეობაშია უფრო ნიჭიერი“...

ასეთ ნიჭიერ ბავშვებს კი რა გამოლევს გოგი გოზალიშვილის ჯგუფში. ახლაც, როცა გამორჩეულ მოწაფეზე ვკითხე, სიტყვაძუნწმა მწვრთნელმა მოკლედ მომიგო: „მყავს ერთი, ვნახოთ“.

გიორგი ჩოჩიშვილი.

ს უ რ ა თ ზ ე: გოგი გოზალიშვილი მოწაფეებთან მორიგ წვრთნაზე.

ჯემალ კახრაძის ფოტო.

რესპუბლიკის ჩემპიონი

მამუკა კიკაძე

მძლეოსნობა

(სპრინტი)

დაიბადა 1964 წელს გორში.
სპორტის ოსტატობის კანდიდატი.

სპორტსაზოგადოება „ბურევესტნიკის“ წევრი.
სიმაღლე — 180 სმ, წონა — 70 კგ.
სპორტში მეცადინეობა დაიწყო 1980 წელს ალიოშა ზარქუას ხელმძღვანელობით. ამჟამად ვარჯიშობს ანდრო ბედუკაძესთან.
საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის IV კურსის სტუდენტი.
დაიკავა III ადგილი „ბურევესტნიკის“ ცენტრალური საბჭოს პირველობაზე, საქართველოს ჩემპიონი 100 მეტრზე რბენაში. საუკეთესო შედეგი: 100 მ— 10,5.

სამტრედიელთა კარგი მაგალითი

ნარტყალაში (ყაბარდო-ბალყარეთი) ჩატარდა „სპარტაკის“ ცენტრალური საბჭოს პირად-გუნდური პირველობა თავისუფალ ჭიდაობაში 1969-1970 წწ დაბადებულ ჭაბუკთა შორის. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ მოკავშირე რესპუბლიკების ნაკრები კოლექტივები.

თავი ისახელეს რუსეთის ფედერაციის მოჭიდავეებმა, მათ თერთმეტი პირველი ადგილი ხვდათ წილად და, ცხადია, გუნდური გამარჯვებაც დარჩათ. II ადგილზე გავიდნენ საქართველოს „სპარტაკის“ წარმომადგენლები (3 პირველი და 2 მეორე ადგილი), მესამეზე — უკრაინელი ჭაბუკები.

წონითი კატეგორიების მიხედვით ჩემპიონები გახდნენ: 32 კგ. აბდულ ჰალიმ ოსმანოვი, 35 კგ. რასულ უმახანოვი, 38 კგ. ტიმურ ბირაგოვი, 41 კგ. რამაზან აზიზოვი, 44 კგ. ოლეგ ბალოვი, 47 კგ. მაგომედ ალიშეიხოვი (ყველა — რსფსრ). 50 კგ. ვახტანგ ლალიაშვილი (საქართველო), 54 კგ. საიდ-მაგომედ შახბაევი, 58 კგ. არსენ შომახოვი, 62 კგ. სულეიმან ჯაბრაილოვი, 66 კგ. არტურ კიშოევი (ყველა — რსფსრ), 71 კგ. კობა ლობჟანიძე, 76 კგ. აკაკი გაბედავა (ორივე — საქართველო), 81 კგ. პაველ ბობკოვი (ბელორუსია), 87 კგ. ასლან სოკუროვი (რსფსრ), მძიმე. ისმაილ ქერიმოვი (აზერბაიჯანი).

50 კგ წონით კატეგორიაში ფინალური ბრძოლა ფაქტიურად ბოლოსწინა წრეში გაიმართა. აქ ერთმანეთს შეხვდნენ საქართველოს წარმომადგენლები ვახტანგ ლალიაშვილი და მერაბ ნოზაძე. გაიმარჯვა ლალიაშვილმა, ნოზაძე მეორე ადგილზე გავიდა. უნდა აღინიშნოს, რომ ლალიაშვილს ამ ტურნირში შვიდჯერ მოუხდა სარბიელზე გამოსვლა და ბრძოლა შვიდივეჯერ თავის სასარგებლოდ დაამთავრა.

71 კგ წონით კატეგორიაში ექვსი შეხვედრა მოიგო გამარჯვებულმა კობა ლობჟანიძემ. მთავარ მეტოქეს ანზორ გუმქაჩოვს იგი ბოლო წრეში შეხვდა. აქ მოპოვებულმა წარმატებამ მოუტანა მას პირველი ადგილი.

სპეციალისტებზე კარგი შთაბეჭდილება დატოვა სამტრედიელი აკაკი გაბედავას ოსტატობამ. მართალია, მის წონაში (76 კგ) ბევრი მონაწილე არ გამოსულა, მაგრამ ახალგაზრდა მოჭიდავემ ყველა შეხვედრა დამაჯერებლად ჩაატარა და სავსებით დამსახურებულად მოიპოვა პირველი ადგილი. ტურნირის მიწურულში ისეთი ვითარება შეიქმნა, რომ გაბედავას ბოლო ბრძოლა ვლადიმერ რუდენკოსთან (უკრაინა) უსათუოდ წმინდად უნდა მოეგო. მან ეს ამოცანაც წარმატებით გადაწყვიტა.

შეჯიბრებაში თავი გამოიჩინა მეორე სამტრედიელმა მოჭიდავემ ემზარ კოპალეიშვილმაც (66 კგ), მართალია იგი პირველ ადგილზე ვერ გავიდა (მეორე პრიზიორი გახდა), მაგრამ გაბედული და ტექნიკური ჭიდაობით მოხიბლა სპეციალისტები და მაყურებლები. როგორც ჩანს, სამტრედიაში ყურადღებით და გულისხმიერად ეკიდებიან ახალგაზრდა მოჭიდავეთა აღზრდას, რაც სხვა ქალაქებისა და რაიონებისთვის კარგი მაგალითი უნდა იყოს.

ზემოდდასახელებული ქართველი მოჭიდავეები „სპარტაკის“ ცენტრალური საბჭოს ნაკრებში აიყვანეს პროფკავშირების საკავშირო პირველობაში სასპარეზოდ. ეს ტურნირი ნოემბერში იმავე ქალაქში ჩატარდება.

საქართველოს მოჭიდავეებს ამ შეჯიბრებისთვის ამზადებდა მწვრთნელთა ბრიგადა გურამ ქუჩიშვილის, გივი ხუგაშვილისა და ბიჭიკო პაპაშვილის შემადგენლობით.

ჩემპიონატის ფინიშზე

19 ოქტომბერს შედგა სსრ კავშირის 47-ე საფეხბურთო ჩემპიონატის 30-ე ტურის მატჩები, ორკვირიანი შესვენების შემდეგ კი, 2 ნოემბერს, გათამაშება კვლავ განახლდება. თუ 47-ე საკავშირო გათამაშების ახლანდელ კალენდარს გადავხედავთ, ეს ბოლო „ტაიმ-აუტი" უნდა იყოს, თუმცა მსგავსი შესვენებები წლეულს საკმარისზე მეტად ჰქონდათ უმაღლესი ლიგის გუნდებს. ახლანდელი ანტრაქტი წინასწარ დაიგეგმა საბჭოთა გუნდების ევროპულ საკლუბო ტურნირებში მონაწილეობასთან დაკავშირებით, გარდა ამისა, გაიმართა სსრ კავშირის თასის მომავალი წლის, 44-ე გათამაშების მატჩებიც.

ჩვენმა ფეხბურთის სპეციალისტებმა, მიმომხილველებმა საკავშირო პრესაში არაერთხელ გამოთქვეს თავიანთი აზრი იმის თაობაზე, რომ ეს ხშირი პაუზები შუაგულ ჩემპიონატში უმაღლესი ლიგის გუნდებს მნიშვნელოვნად უშლის ხელს საწვრთნელი მუშაობის ნორმალურად წარმართვაში, კომპეტენტური სიტყვა თქვეს უმაღლესი გუნდების უფროსმა მწვრთნელებმაც, თვით „მთავარმა მოქმედმა პირებმა" — ფეხბურთელებმაც, მაგრამ მათი კომპეტენტურობა ჯერჯერობით ხმად მღაღადებლისად რჩება, კალენდარულ ტურებს შორის კი კვლავ საკმაოდ ხანგრძლივი, ბევრი გუნდისთვის იძულებითი შესვენებები ეწყობა, რომელთა დროსაც უმაღლესი ლიგის მონაწილეთა უმეტესობა, ფაქტიურად, საკუთარი თავის იმედად რჩება და, სათამაშო პრაქტიკას მოკლებული, იძულებულია შემთხვევითი, მეორეხარისხოვანი სპარინგ-პარტნიორები ეძებოს. ეს რომ არა, ფეხბურთელები დაკარგავენ სპორტული მომზადების ფორმას. საინტერესოა ისიც, რომ ევროპულ საკლუბო ტურნირებთან დაკავშირებით, 19 ოქტომბრიდან 2 ნოემბრამდე, მორიგი „ანტრაქტი" მოეწყო, მაგრამ 7 ნოემბერს ევროპული ტურნირების საპასუხო მატჩებია, ე. ი. იგივე შეჯიბრების მეორე ციკლი, თუმცა შესვენება ამჯერად არ ეწყობა და საკავშირო ჩემპიონატის მატჩები გრძელდება. რატომ? თუ პირველ პერიოდში ჩვენს გუნდებს ევროპის ასპარეზზე წარმატებით გამოსასვლელად ასე აუცილებლად სჭირდებათ მოსამზადებელი დრო, მეორე პერიოდისათვის, რომელიც ხშირად უფრო რთულია ხოლმე, ისინი ერთდროულად იბრძვიან ევროპულ ტურნირებშიც და შინაც!

ახლა, როცა 1984 წლის საკავშირო ჩემპიონატი ფეხბურთში ფინიშს მიუახლოვდა და სულ 4 ტურის მატჩებიღა დარჩა ჩასატარებელი, ზედმეტი არ იქნება გადავხედოთ, თუ რა მდგომარეობაა ჩვენს ჩემპიონატში, უფრო სწორად პირველ ათეულში.

		თ.	ქ.
1.	„ზენიტი" (ლენინგრადი)	30	39
2.	„ტორპედო" (მოსკოვი)	30	37
3.	„დნეპრი" (დნეპროპეტ.)	30	36
4.	„დინამო" (მინსკი)	30	36
5.	„სპარტაკი" (მოსკოვი)	29	35
6.	„ჩერნომორეცი" (ოდესა)	30	34
7.	„დინამო" (თბილისი)	30	33
8.	„დინამო" (კიევი)	30	32
9.	„ჟალგირისი" (ვილნიუსი)	30	32
10.	„ქაირათი" (ალმა-ათა)	30	31

როგორც ამ ცხრილიდან ჩანს, წლევანდელი ჩემპიონატის „სიუჟეტი" მეტისმეტად დახლართულია. ჩვენ გვახსოვს, რომ მეორე წრის დასაწყისში, თითქოს, ზუსტად მეორდებოდა შარშანდელი „სტატუს-ქვო". მაშინ უშუალო ბრძოლა ლიდერობისთვის და პირველი ადგილისთვისაც დნეპროპეტროვსკის „დნეპრსა" და მოსკოვის „სპარტაკს" შორის მიმდინარეობდა, მაგრამ წლეულს, სწორედ ამ პერიოდში, ზედიზედ 4 გამარჯვება მოიპოვა ლენინგრადის „ზენიტმა", ხოლო „დნეპრი" და „სპარტაკი" შეფერხდნენ და ამ ეფექტური სერიის შემდეგ „ზენიტი" ისე დაწინაურდა, რომ პირველი ადგილის რეალურ პრეტენდენტად იქცა. მაგრამ შემდეგ მან საკუთარ მინდორზე წააგო „ჩერნომორეცთან", წააგო კიევშიც და მის კონკურენტებს, რომლებსაც ამასობაში მოსკოვის „ტორპედოც" მიემატა, ლიდერის დაწევის გარკვეული შანსი მიეცათ. სადღეისოდ, როცა მოსკოვის „სპარტაკს" ერთი გამოტოვებული მატჩიც აქვს თადარიგში (როსტოვის არმიელებთან), ძალზე ძნელი, თითქმის შეუძლებელიც კია ივარაუდო თუ რა მოხდება ფინიშზე. სატურნირო ინტრიგა 30 ტურის შემდეგ მართლაც დრამატულია: 5 გუნდს აშკარა შესაძლებლობა აქვს ჩემპიონობისათვის იბრძოლოს, ხოლო მომდევნო 5 გუნდმა — ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლები მოიპოვოს. ახლა უნდა დაჯდე და არითმომეტრით იანგარიშო ვის ვისთან დარჩა სათამაშო, ვის რამდენი ქულის მოგროვება შეუძლია, რას იზამენ უშუალო კონკურენტები?

ერთი სიტყვით, თავსატეხი ბევრია. ამასთან დაკავშირებით, გავიხსენოთ ლიდერთა პოზიციებზე გასული გუნდების დარჩენილი მატჩები.

„ზენიტი" (ლენინგრადი). ბევრი რამ შეიძლება გადაწყდეს 2 ნოემბერს, როცა ლენინგრადელები მოსკოვში უნდა შეხვდნენ „ტორპედოს". ვინ იცის, იქნებ სწორედ ეს გამოდგეს საჩემპიონო მატჩი! ამის შემდეგ „ზენიტს" თუ მეტი არა, ნაკლები მნიშვნელობის თამაში როდი აქვს დნეპროპეტროვსკში (12 ნოემბერს). 17 ნოემბერს და 21 ნოემბერს კი ლენინგრადელები შინ ღებულობენ დონეცკის „შახტიორს" და ხარკოვის „მეტალისტს".

„ტორპედო" (მოსკოვი). 2 ნოემბრის მეტად პრინციპულ, გადამწყვეტ მატჩზე უკვე ვილაპარაკეთ, ამ ურთულესი თამაშის შემდეგ ტორპედოელები 11 ნოემბერს შინ მიიღებენ კიევის „დინამოს", 17 და 21 ნოემბერს კი ოდესაში და დონის როსტოვში ითამაშებენ.

„დნეპრი" (დნეპროპეტროვსკი). 2 ნოემბერს „დნეპრი" შინ ღებულობს მოსკოვის „დინამოს", შემდეგ (12 ნოემბერი) — ლენინგრადის „ზენიტს", 33-ე ტურში ვილნიუსში თამაშობს, ხოლო დასკვნით მატჩს მინსკში ატარებს. ყველა ეს თამაში რთული და მეტად მნიშვნელოვანია.

„დინამო" (მინსკი). 2 ნოემბერს მინსკელები ალმა-ათაში გამოდიან, 11 ნოემბერს — დონეცკში, ბოლო 2 ტურში კი შინ ღებულობენ ხარკოვის „მეტალისტს" და დნეპროპეტროვსკის „დნეპრს".

„სპარტაკი" (მოსკოვი). როგორც მოგახსენეთ, სპარტაკელებს ერთი თამაში აქვთ მარაგში მე-20 ტურიდან (24 ნოემბერს), 2 ნოემბერს ისინი დონეცკში თამაშობენ, 12 ნოემბერს — ბაქოში, 17 ნოემბერს „სპარტაკი" შინ ღებულობს თბილისის „დინამოს", 21 ნოემბერს გამოდის ერევანში.

„დინამო" (თბილისი). ჩვენი გუნდი სატურნირო ცხრილში ახლა მე-7 ადგილზეა. თბილისელები 2 ნოემბერს შინ ღებულობენ დონის როსტოვის არმიელებს, 12 ნოემბერს კი თავიანთ უძველეს და ყველაზე ძნელ მეტოქეს — მოსკოვის „დინამოს", შემდეგ 17 ნოემბერს, თბილისის „დინამო" მოსკოვში ითამაშებს „სპარტაკთან" (ეს მატჩი, ალბათ, დახურულ დარბაზში გაიმართება), ხოლო 21 ნოემბერს ჩემპიონატს ტაშკენტში დაამთავრებს.

ეს, რაც შეეხება ლიდერებს, მაგრამ არანაკლებ საინტერესოა ის, რაც აუტსაიდერთა რიგებში ხდება, იქ, სადაც პირველ ლიგაში ჩამოქვეითების აშკარა საშიშროებაა. ყველაზე უარეს მდგომარეობაშია მოსკოვის არმიელთა გუნდი, რომელსაც 30 თამაშის შემდეგ სულ 18 ქულა აქვს. ოდესღაც საქვეყნოდ განთქმული, სახელმოხვეჭილი „ლეიტენანტთა გუნდი" მეტად მძიმე მდგომარეობაშია. ამ გუნდის ხელმძღვანელობა (მხედველობაში გვაქვს უფროსი მწვრთნელები), კალეიდოსკოპური სისწრაფით იცვლება თითქმის ყოველ სეზონში. ცსკა-ში ლამის კანონად იქცა: მოჰყავთ ახალი უფროსი მწვრთნელი, იგი თავს უყრის ახალ მოთამაშეებს, რომლებიც ხეირიანად არც იცნობენ ერთმანეთს. ამიტომ გუნდის ცალკეული რგოლებისა და ცალკეულ მოთამაშეთა ურთიერთგაგებაზე, შეთამაშებაზე ლაპარაკიც ზედმეტია.

რა შანსი აქვს მოსკოვის არმიელთა გუნდს დარჩენილ 4 ტურში? 3 ნოემბერს არმიელები შინ ღებულობენ ვილნიუსის „ჟალგირისს", 12 ნოემბერს — ოდესის „ჩერნომორეცს", 17 ნოემბერს მიემგზავრებიან როსტოვში, 21 ნოემბერს კი ბოლო ტურის მატჩს თამაშობენ კიევში. უმაღლეს ლიგაში დასარჩენად ცსკა-მ ენერგიის მაქსიმალური დაძაბვით უნდა იბრძოლოს. მაგრამ მაშინ გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდება ბაქოს „ნეფთჩი", რომელსაც 30 ტურის შემდეგ 21 ქულა აქვს. ბაქოელებს სულ 2 მატჩი აქვთ შინ ჩასატარებელი: 3 ნოემბერს კიევის „დინამოსთან" და 12 ნოემბერს მოსკოვის „სპარტაკთან". ამ მეტოქეებთან, მოგეხსენებათ, ქულების აღება ძალზე ძნელია, მერე კი „ნეფთჩი" მიემგზავრება ტაშკენტში, სადაც 17 ნოემბერს შეხვდება „ფახთაქორს", რომელიც თვითონვე ისეთ სავალალო მდგომარეობაშია, რომ თავის მინდორზე თუ არ აიღო ქულები, მასაც „ექსორია" ემუქრება უმაღლესი ლიგიდან. დაბოლოს, 21 ნოემბერს, ბაქოს „ნეფთჩი" მოსკოვში ეთამაშება „დინამოს".

22 ქულით 30 მატჩის შემდეგ მე-16 ადგილზე იმყოფება ტაშკენტის „ფახთაქორი". ამ გუნდის შანსებიც მეტად საეჭვოა. უახლოეს ორ მატჩს, 3 ნოემბერს და 11 ნოემბერს, იგი სტუმრად გამართავს ხარკოვში და ერევანში, 17 ნოემბერს მიიღებს „ნეფთჩის", 21 ნოემბერს კი თბილისის „დინამოს".

როგორც ხედავთ, მდგომარეობა 47-ე ჩემპიონატში მეტად დაძაბულია. საქმეს ისიც ართულებს, რომ ამ ბოლო 2-კვირიანი შესვენების შემდეგ, დასკვნითი 4 ტურის წინ, როგორც ჩანს, ძალთა შეფარდება სულ სხვა იქნება. ის, ვინც 19 ოქტომბრისთვის ძლიერად თამაშობდა, ადვილი შესაძლებელია, სადღეისოდ არც იყოს სპორტულ ფორმაში, ჩამორჩენილებმა კი, პირიქით, შეიძლება „ხმა აღიმაღლონ". ჩემპიონიც, პრიზიორებიც და ის გუნდებიც, რომლებსაც საგაისოდ პირველ ლიგაში ჩამოქვეითება ელით, შეიძლება მხოლოდ ბოლო, 34-ე ტურში გამოვლინდნენ.

რამდენადმე გამოასწორეს მდგომარეობა მოსკოვის დინამოელებმა, რომლებსაც 30 მატჩის შემდეგ 23 ქულა აქვთ. მოსკოველებმა ბოლო 3 ტურში დაამარცხეს ხარკოვის „მეტალისტი" — 4:1, დონეცკის „შახტიორი" — 1:0, ქულა აიღეს ცსკა-სთან (0:0) და ცოტა „მოითქვეს სული". მოსკოვის „დინამომ" ჩემპიონატის დამთავრებამდე 2 ნოემბერს უნდა ითამაშოს დნეპროპეტროვსკში, 12 ნოემბერს — თბილისში, 16 ნოემბერს მიიღოს „არარატი", ხოლო 21 ნოემბერს — „ნეფთჩი".

თბილისის „დინამოს" გულშემატკივრები დაიმედებულნი შევცქეროთ ჩვენს გუნდს. დინამოელებს პირველი და მეორე წრეების მიჯნაზე წარმატებათა შესანიშნავი სერია ჰქონდათ, როცა 14 შესაძლებლიდან 13 ქულა აიღეს! ამას მოჰყვა ყოვლად გაუმართლებელი მარცხი ოდესაში (1:4), მაგრამ შემდეგ გუნდმა კიევში რამდენადმე გამოასწორა საქმე (1:1). 2 ნოემბერს თბილისის „დინამო" შინ ღებულობს როსტოვის არმიელთა გუნდს და ამ მატჩის სტატისტიკური მონაცემებით გვინდა დავამთავროთ ჩვენი დღევანდელი საუბარი: თბილისის „დინამომ" პირველ წრეში როსტოვში წააგო ანგარიშით 0:1, სულ კი მას როსტოვის გუნდი დამარცხებული ჰყავს 21-ჯერ, 10 მატჩი დამთავრდა ფრედ, 8-ჯერ გაიმარჯვეს როსტოველებმა. გატანილი და მიღებული ბურთების შეფარდებაა 64:40 თბილისის „დინამოს" სასარგებლოდ.

ახლა იმაზე, თუ რამდენ ქულას მოაგროვებს სსრ კავშირის 1984 წლის ჩემპიონი. შარშან „დნეპრმა" პირველი ადგილი 49 ქულით დაიკავა, მინსკის „დინამომ" შარშანწინ ოქროს მედლები 47 ქულით მოიპოვა. ახლანდელ ლიდერებს საშუალოდ 39-36 ქულა აქვთ. ლენინგრადის „ზენიტმა", ვთქვათ, მაქსიმუმი რომ აიღოს (8), 47 ქულა ექნება, მაქსიმუმს კი იგი და, ალბათ, სხვებიც ვერ მოიპოვებენ. გამოდის, რომ წლევანდელ ჩემპიონს შარშანდელზე და შარშანწინდელზე ნაკლები ქულა ექნება.

როდიონ ქორქია.

რეპეტიცია „ლოკომოტივზე"

გაისად უნგრეთის სტადიონებზე ჭაბუკ ფეხბურთელთა ევროპის ჩემპიონატის ფინალური ტურნირი გაიმართება. შეჯიბრებაში, რომელშიც 1968 წელს დაბადებული სპორტსმენები ითამაშებენ, ძველი კონტინენტის 16 უძლიერესი ნაკრები კოლექტივი მიიღებს მონაწილეობას. ფინალისტების ვინაობას შესარჩევი ასპარეზობა გაარკვევს. საბჭოთა კავშირის ჭაბუკთა ნაკრებს კენჭისყრამ ჩეხოსლოვაკიელ თანატოლებთან თამაში არგუნა. ამ მეტოქეთა პირველი შეხვედრა, როგორც ცნობილია, 4 ნოემბერს თბილისის „დინამოს" სტადიონზე გაიმართება. სწორედ ამ მეტად საპასუხისმგებლო მატჩის წინ გუშინ, „ლოკომოტივის" სტადიონზე, საბჭოთა კავშირის უძლიერესმა ჭაბუკმა ფეხბურთელებმა თბილისის „ლოკომოტივის" ოსტატთა გუნდთან ჭიდილში მოსინჯეს ძალა.

თამაში საწვრთნელ ხასიათს ატარებდა, ნაკრების ხელმძღვანელები მიზნად ისახავდნენ ოპტიმალური შემადგენლობის დადგენას, ცალკეულ ფეხბურთელთა ურთიერთშეთამაშებას, გუნდში სუსტი ადგილების გამოვლენას... ამ მხრივ ეს მატჩი მათთვის უთუოდ სასარგებლო იქნებოდა. ყოველ შემთხვევაში, თუ პირველ ტაიმში ნაკრების წევრები ხშირად ვერ ახერხებდნენ კომბინაციურ თამაშს, ცალკეული რგოლები შეუთანხმებლად მოქმედებდნენ, შესვენების შემდეგ მათს თამაშს მეტი ენერგია და სიმწყობრე დაეტყო. თუმცა, ვფიქრობთ, ჭაბუკებს მთელი თავისი შესაძლებლობები არ გამოუვლენიათ.

ლოკომოტიველთა უპირატესობა მთელი მატჩის განმავლობაში იგრძნობოდა. არც არის გასაკვირი: მათ მიმდინარე სეზონში 40-მდე შეხვედრა აქვთ ჩატარებული, ნაკრები კი ამ შემადგენლობით ფაქტიურად პირველად შეიკრიბა. გარდა ამისა, მათსა და მეტოქის მოთამაშეთა ასაკში სხვაობაც ხომ გასათვალისწინებელია.

„ლოკომოტივს" გამარჯვება მოუტანა უგრეხელიძის ორმა ზუსტმა დარტყმამ. 2:0 — ასე დამთავრდა ეს მატჩი.

ნაკრების სასტარტო შემადგენლობაში ოთხი თბილისელი ფეხბურთელი იყო, თამაშის მიწურულს კი მეკარე ვარენიკოვი ასევე თბილისელმა გია მაქასარაშვილმა შეცვალა. ის და გუნდის კიდევ 3 წევრი (ალან კულუმბეგოვი, ზაზა რევიშვილი და მამუკა ფანცულაია) „დინამოს" ოლიმპიური რეზერვის ბავშვთა და მოზარდთა სპეციალიზებული სპორტსკოლის აღსაზრდელები არიან, ვასილ მიქაშავიძე კი განათლების სამმართველოს ასეთივე სკოლის მოწაფეა.

მკითხველს ალბათ ნაკრების სრული შემადგენლობაც დააინტერესებს: ვარენიკოვი (მაქასარაშვილი), ბედნი, ბალტუშნიკასი, იახნო, კულუმბეგოვი, ნიგოიანი, ლიტვინენკო, რევიშვილი (სოლოვიოვი), მიქაშავიძე, კამიშევი, ფანცულაია (გუბაზი).

მატჩს უმსაჯა თბილისელმა არბიტრმა ალექსანდრე ბოჭორაძემ.

დავით კაკაბაძე.

წინა დღით საბჭოთა კავშირის ჭაბუკთა ნაკრებმა „ლოკომოტივის" სტადიონზე ივარჯიშა. სურათზე სწორედ ამ ვარჯიშის ერთ-ერთი მომენტია აღბეჭდილი.

საქართველოს პირველობა

27 და 28 ოქტომბერს გაიმართა რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის 30-ე ტურის კალენდარული მატჩები II ჯგუფის გუნდებს შორის.

აღმოსავლეთი ზონა. „მაშავერა" (დმანისი) — „გარეჯი" (საგარეჯო) 1:2, „იბერია" (ქარელი) — „ზარზმა" (ადიგენი) 0:2, „ვარძია" (ასპინძა) — „მესხეთი" (ახალციხე) 2:0, „ალგეთი" (მარნეული) — „ბახტრიონი" (ახმეტა) 3:0, „ქართლი" (გორის რაიონი) — „განთიადი" (კასპი) 1:0, „იორი" (თიანეთი) — „იმედი" (რუსთავი) 2:1.

საჩხერის „ჩიხურასთან" სათამაშოდ არ გამოცხადდა წალკის „თრიალეთი", რისთვისაც მას წაგება ჩაეთვალა.

დასავლეთი ზონა. „ნარინჯი" (ნატანები) — „ნარუჯა" (მახარაძე) 1:0, „ავტომობილისტი" (აბაშა) — პოლიტექნიკური ინსტიტუტი (ქუთაისი) 4:2, „კოლხეთმშენი" (ფოთი) — „ნაპერწკალი" (ოქუმი) 3:1, „მეშახტე" (ტყვარჩელი) — „ხვამლი" (ცაგერი) 5:3, „ოდიში" (ზედა ეწერი) — სუბტროპიკული ინსტიტუტი (სოხუმი) 4:1, „კოლმეურნე" (ტყიბული) — „რაჭა" (ამბროლაური) 3:2, „ნარინჯი" (გონიო) — „თოლია" (ბათუმი) 5:2.

ქუთაისის „იმერეთს" გამარჯვება ჩაეთვალა გულრიფშის „კოლმეურნესთან", ვინაიდან გულრიფშელები სათამაშოდ არ ჩავიდნენ ქუთაისში.

გათამაშების ცხრილები

მდგომარეობა 31 ოქტომბრისთვის

აღმოსავლეთი ზონა

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„მეტალურ."	29	21	5	3	74-18	47
„კახეთი"	29	21	4	4	55-16	46
„მადნეული"	29	18	6	5	71-34	42
„შევარდ."	30	17	5	8	49-32	39
„არმაზი"	28	15	8	5	66-42	38
„ავტომობ."	29	16	4	9	47-34	36
„ივერია"	28	13	7	8	41-32	33
„ჰერეთი"	30	11	9	10	47-39	31
„არაგვი"	31	12	6	13	38-36	30
„იმედი"	29	10	8	11	37-35	28
„დურუჯი"	30	11	5	14	28-38	27
„სპარტაკი"	30	10	7	13	55-55	27
ფიზ.-კ. ინსტ.	30	10	6	14	47-44	26
„ალაზანი"	30	7	2	21	26-76	16
„თორი"	30	6	4	20	25-58	16
პოლ. ინსტ.	30	5	5	20	30-56	13
„სამგორი"	30	2	1	27	13-104	5

დასავლეთი ზონა

„სულორი"	32	19	6	7	54-28	44
„შადრევ."	32	18	8	6	63-43	44
„მზიური"	32	14	7	11	69-55	35
„მადარ."	32	11	12	9	48-50	34
„დინ." გ.	32	15	3	14	64-59	33
„ამირანი"	32	14	4	14	49-44	32
„დინ." ზ.	32	13	6	13	50-49	32
„მეტალურ."	32	12	8	12	47-44	32
„საპოვნ."	32	13	5	14	52-47	31
„სამეგრ."	32	13	5	14	46-42	31
„კოლხეთი"	31	12	7	12	51-46	31
„სქური"	32	13	4	15	42-51	30
„ეგრისი"	32	11	8	13	46-49	30
„იმერეთი"	31	11	6	14	41-51	28
„ბახმარო"	31	12	3	16	36-52	27
„სალხინო"	31	11	5	15	42-64	27
„გიგანტი"	32	11	3	18	35-50	25
„საირმე"	30	9	6	15	32-43	24

სპორტული ნოემბერი

2-4. **კლასიკური ჭიდაობა** — საქართველოს ჩემპიონატი. თბილისი.

3-5. **ძალოსნობა** — საქართველოს ჩემპიონატი და სპორტის დამსახურებული ოსტატის გ. ჩიკვაიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი საქართველოს თასის გათამაშება. ქუთაისი.

4-10. **ფეხბურთი** — საბჭოთა კავშირის გმირის ი. ჯინჭარაძის ხსოვნის საერთაშორისო ტურნირი 1967-68 წწ დაბადებულ ჭაბუკთა შორის. ბათუმი.

12-17. **ფარიკაობა** — საქართველოს ჩემპიონატი და თასის გათამაშება. ქუთაისი.

13-16. **ფრენბურთი** — საქართველოს პირველობა 1969-70 წწ დაბადებულ გოგონათა შორის. სამტრედია.

13-15. **მაგიდის ჩოგბურთი** — საქართველოს პირველობა 1970 და შემდგომ წლებში დაბადებულ გოგონებსა და ჭაბუკებს შორის. ბათუმი.

16-19. **ძიუდო** — საქართველოს პირველობა 1969-70 წწ დაბადებულ სპორტსმენთა შორის. საგარეჯო.

17-22. **კალათბურთი** — საქართველოს პირველობა 1969-70 წწ დაბადებულ ჭაბუკთა და გოგონათა შორის. სოხუმი.

18-20. **თავისუფალი ჭიდაობა.** საქართველოს ჩემპიონატი. გორი.

18-21. **ფრენბურთი** — საქართველოს პირველობა 1969-70 წწ დაბადებულ ჭაბუკთა შორის. ქუთაისი.

20-25. **მაგიდის ჩოგბურთი** — საქართველოს ჩემპიონატი. თბილისი.

21-25. **ბადმინტონი** — საქართველოს ჩემპიონატი. ბათუმი.

23-24. **აკრობატიკა** — საქართველოს პირადი პირველობა 1967 და შემდგომ წლებში დაბადებულ ჭაბუკებსა და გოგონებს შორის. თბილისი.

26-I/XII. **კალათბურთი** —1985 წლის ჩემპიონატი უმაღლესი ლიგის ვაჟთა გუნდებს შორის. თბილისი.

27-30. **ფრენბურთი** — საქართველოს პირველობა 1971-72 წწ დაბადებულ გოგონათა შორის. ბათუმი. 30-2/XII. საქართველოს პირველობა 1971-72 წწ დაბადებულ ჭაბუკთა შორის. ქუთაისი.

კალეიდოსკოპი

უწყლო აუზი

ზაფხულის პერიოდში მოთხილამურეები ხელოვნურ თოვლზე ვარჯიშობენ, მხტომელები კი — სინთეტიკურ საფარიან ტრამპლინზე. შეიძლება თუ არა მოცურავეთა ვარჯიში უწყლო აუზში? პარიზელი ინჟინრების აზრით შეიძლება. და აი, ერთ მშვენიერ დღეს ხელოვნური წყალიც გამოიგონეს. ექსპერიმენტის სახით ქალაქის ერთ-ერთი 50-მეტრიანი აუზი აავსეს პლასტმასის ბურთულებით (მათი რიცხვი მილიონობით თუ განისაზღვრება). ასეთ აუზში ცურვა განსაკუთრებით მოსწონთ ბავშვებს, რომლებსაც თავდაპირველად მეტისმეტად უძნელდებათ წყლის ზედაპირზე თავის დამაგრება.

ნერვები დაიწყნარა

ნეაპოლის მართლმსაჯულების სასახლეში ახალგაზრდა კაცს შეიარაღებული ბანდიტიზმისთვის ასამართლებდნენ. ბრალდებული საკმაოდ აქტიურად იცავდა თავს, რასაც ვერ ვიტყვით მის ვექილზე. უცებ ახალგაზრდამ გაწყვიტა სიტყვა, მისწი-მოსწია კარაბინერები და სასამართლოს წევრების თვალწინ ცალ ხელზე ყირა გასჭიმა. პროკურორის შეკითხვაზე, თუ რას უნდა ნიშნავდეს ყოველივე ეს, ბრალდებულმა მშვიდად უპასუხა: „ერთ დროს ტანვარჯიშით ვიყავი გატაცებული და როცა რაიმე უსამართლობის გამო წონასწორობიდან გამომიყვანდნენ, ასე ვიწყნარებდი ნერვებს".

საზღვარგარეთის სპორტის ვარსკვლავები

მკვდრეთით აღმდგარი

ნიკი ლაუდა. ეს სახელი კარგად არის ცნობილი მთელი მსოფლიოს სპორტის მოყვარულთათვის. მასზე ბევრი სმენიათ და წაუკითხავთ ჩვენშიც, თუმცა I ფორმულის მანქანებით მოასპარეზეთა მსოფლიო ჩემპიონატებში საბჭოთა მრბოლელები არ მონაწილეობენ, მაგრამ ლაუდას იცნობენ იქაც, სადაც ავტორბოლა მხოლოდ ტელევიზიით თუ უნახავთ. იცნობენ იმიტომ, რომ ეს სპორტსმენი სიცოცხლეშივე ლეგენდად იქცა და, როგორც ერთმა ჟურნალისტმა აღნიშნა, ისეთივე მოვლენაა ავტოსპორტში, როგორიც მუჰამედ ალი იყო კრივში, ბიორნ ბორგი ჩოგბურთში ან ედი მერქსი ველოსპორტში.

„სიცოცხლეშივე ლეგენდად იქცა". ავსტრიელი ავტომრბოლელის მისამართით ნათქვამი ეს სიტყვები განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს, რადგან იმ ადამიანებს, ვინც 1976 წლის 1 აგვისტოს საკუთარი თვალით ნახა ნიურბურგრინგის ტრასაზე მომხდარი საზარელი კატასტროფა, დღესაც უკვირთ, რომ ლაუდა ცოცხალია. „მკვდრეთით აღსდგაო", არაერთხელ დაუწერიათ მასზე სხვადასხვა ქვეყნის ჟურნალ-გაზეთებს და ეს ხშირად ახლოს იყო ჭეშმარიტებასთან...

ნიკი ლაუდა დაიბადა 1949 წლის 22 თებერვალს ვენაში. მისი მშობლები — მეტად შეძლებულნი, საზოგადოების საკმაოდ მაღალი ფენის წარმომადგენლები — თავიდანვე შეაშფოთა ვაჟიშვილის გატაცებამ. ისინი თვლიდნენ, რომ ავტოსპორტი სრულიად შეუფერებელი გასართობია არისტოკრატული ოჯახის წარმომადგენლისთვის და ყოველ ღონეს ხმარობდნენ, როგორმე „სწორ გზაზე" დაეყენებინათ ჭაბუკი. როგორც ჩანს, თავიანთ ვაჟს კარგად არ იცნობდნენ, თორემ ეცოდინებოდათ— თუ ნიკი რაიმეს გულში ჩაიდებდა, ბოლომდე არ მოეშვებოდა, დაწყებულ საქმეს შუა გზაზე არ მიატოვებდა. მას არც ყოველდღიური მომქანცველი ვარჯიში აშინებდა და არც სარბოლო ავტომანქანის ძრავის გაუთავებელი დაშლა-აწყობა. გულმოდგინედ ასრულებდა ყველაფერს, რასაც ამ საქმეში მასზე უფრო გამოცდილი ადამიანები ურჩევდნენ.

მაგრამ გადიოდა დრო, სახელი და დიდება კი იგვიანებდა. ლაუდა ჯიუტად განაგრძობდა ვარჯიშს, მას უკვე თვალდახუჭულს შეეძლო ძრავაში ნებისმიერი დეფექტის პოვნა და გამოსწორება. მოგეხსენებათ, ასეთ შეუპოვრობას უშედეგოდ იშვიათად ჩაუვლია, და აი, 1971 წელს ნიკი ლაუდა უკვე „მარჩ-ფორდის" I ფორმულის ავტომანქანის საჭეს მიუჯდა და თავის ცხოვრებაში პირველი „დიდი პრიზის" გათამაშებაში მიიღო მონაწილეობა.

მწვერვალისკენ სავალი გზა ია-ვარდით სპორტის არც ერთ სახეობაში არ არის მოფენილი, პროფესიულ ავტოსპორტში კი ეს გზა ხშირად სიცოცხლისა და სიკვდილის მიჯნაზე გადის. ზოგიერთისთვის იგი ნაადრევად წყდება, ზოგი ვერ უძლებს არაადამიანურ ნერვულ თუ ფიზიკურ დაძაბულობას და მწვერვალის დაპყრობაზე თვითონვე აცხადებს უარს, ზოგსაც, უბრალოდ, ნიჭი ან შრომისმოყვარეობა არ ჰყოფნის მიზნის მისაღწევად. ლაუდას ეყო ნიჭიც, შრომისმოყვარეობაც, გამბედაობაც, და თუმცა სიკვდილისთვის არაერთხელ ჩაუხედია თვალებში, მწვერვალზე მაინც ავიდა. 1975 წლის სეზონში მისი წითელი „ფერარი" ელვასავით დაქროდა მონტე-კარლოსა და მონცას, ცელტვეგისა და ნიურბურგრინგის ტრასებზე. მსოფლიო ჩემპიონის ტიტული დამსახურებული ჯილდო იყო ამ შეუპოვარი კაცისთვის, ალბათ მომდევნო წელსაც დაფნის გვირგვინით დაიმშვენებდა მკერდს, მაგრამ...

1976 წლის 1 აგვისტო. ნიურბურგრინგის სირთულით ცნობილი ტრასა. „გფრ-ის დიდი პრიზი". ლაუდას წითელი „ფერარი" მოულოდნელად უზარმაზარ კოცონს დაემსგავსა, მაგრამ ჩვეულებრივი კოცონისგან იმით განსხვავდებოდა, რომ მანქანასთან ერთად მრბოლელიც იწვოდა. ოთხი ადამიანი (ალბათ ღირს მათი გვარების ჩამოთვლა) — ედვარდსი, ერტლი, ლანჭერი და მერზარიო, — ცდილობდა ამ ჯოჯოხეთიდან როგორმე ეხსნა სპორტსმენი. კიდევ კარგი, მერზარიომ იცოდა როგორ გაეხსნა „ფერარის" უსაფრთხოების ღვედები, რომლებმაც ლაუდა მარწუხებივით მიაჯაჭვა სავარძელს. როცა ნახევრადდამწვარი ადამიანი ცეცხლს გამოსტაცეს, ლაუდა ჯერ კიდევ გონზე იყო. „სახე რატომ არა მაქვს დაფარული?", წაილუღლუღა მან. სახეც და თავიც დაფარული და შესაბამისად, ცეცხლისგან დაცული ექნებოდა, მეტისმეტად დიდი მუზარადი რომ არ ხურებოდა, მაგრამ კრიტიკულ მომენტში მუზარადი მოძვრა... მას შემდეგ ნიკი ლაუდას შესძულდა ფოტოსურათის გადაღება. მაგრამ აბეზარ ფოტორეპორტიორებს სად გაექცევი? მით უმეტეს თუ ამ მარცხის შემდეგ, სადაც შენი სიცოცხლე ბეწვზე ეკიდა, სულ რამდენიმე თვეში კვლავ „რკინის ცხოველის" საჭეს მიუჯდები და კვლავ დაამარცხებ ასეთივე მანქანებში ჩამსხდარ მეტოქეებს.

იმისთვის, რომ ცოტათი მაინც დაემსგავსებინათ საკუთარი თავისთვის, ექიმებმა ლაუდას რამდენიმე პლასტიკური ოპერაცია გაუკეთეს. ამაოდ არ დამშვრალან, მაგრამ ნიკის მაინც არ უყვარს თავისი განუყრელი ქეპის მოხდა. და თუ ამას აუცილებლობა მოითხოვს, ასეთ დროს ურჩევნია მარტო იყოს.

იმ საბედისწერო დღიდან ზუსტად 13 თვეში ლაუდას ტრიუმფით აცილებდნენ ქალაქ მონცადან — „იტალიის დიდი პრიზის" მოგების შემდეგ იგი ფაქტიურად მიუწვდომელი გახდა მდევართათვის და მეორედ მოიპოვა მსოფლიო ჩემპიონის ტიტული! ეს იყო არნახული გამარჯვება. გამარჯვება მეტოქეებზე, „რკინის ცხოველებზე" და საკუთარ თავზე.

...თუმცა ამ კატასტროფასა და ჩემპიონის ტახტზე მეორედ ასვლას შორის ლაუდას ბიოგრაფიაში კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა მოხდა. იგი სათავეში ჩაუდგა პროფესიონალ ავტომრბოლელთა „აჯანყებას" ასპარეზობების ორგანიზატორთა წინააღმდეგ, რომლებიც სავსებით უგულებელყოფდნენ სპორტსმენთა უსაფრთხოებაზე ზრუნვას. „არავის არა აქვს უფლება, ავტორბოლა აქციოს თამაშად, რომელიც უაზრო მსხვერპლის შეწირვას უფრო წააგავს, ვიდრე სპორტს" — განაცხადა ლაუდამ. მისი მეთაურობით მრბოლელებმა ბოიკოტი გამოუცხადეს ნიურბურგრინგის ტრასას — ტრასათა შორის განსაკუთრებით ხიფათიანს. ბოიკოტმა შედეგი გამოიღო: ნიურბურგრინგში დაიწყო ახალი, ბევრად უფრო უხიფათო ტრასის მშენებლობა, რომელიც წლეულს დამთავრდა. „პრემიერა", რომელსაც 60 ათასი მაყურებელი დაესწრო, სამიოდე კვირის წინათ, 7 ოქტომბერს მოეწყო. ახალ ტრასაზე გათამაშდა მსოფლიო ჩემპიონატის ბოლოსწინა, მე-15 ეტაპი — „ევროპის დიდი პრიზი". იგი მოიგო ფრანგმა ალენ პროსტმა, რომელმაც სამნახევარ ქულამდე შეამცირა სხვაობა ლიდერთან. მკითხველი ალბათ თვადაც მიხვდებოდა, ვინ იყო ეს ლიდერი: ისევ და ისევ ნიკი ლაუდა!

1979 წელს ავსტრიელმა მრბოლელმა სენსაციური განცხადება გააკეთა: „როგორც იქნა მივხვდი, რომ ცხოვრებაში არსებობს ბევრი ისეთი რამ, რაც წრის გარშემო გიჟივით ქროლვაზე უფრო საინტერესოა". ამ სიტყვებით გამოეთხოვა ლაუდა აქტიურ სპორტს. მაგრამ მაშინაც კი, როცა რბოლას ჩამოშორებული იყო, იგი მსოფლიოს სპორტული მოძრაობის ერთი მეტად მნიშვნელოვანი მოვლენის თანამონაწილე გახდა. ლაუდა რომ არა, მის სამშობლოს, ავსტრიას, შესაძლოა ერთი ოლიმპიური ჩემპიონით ნაკლები ჰყოლოდა. 1980 წელს, როცა ბევრმა კაპიტალისტურმა სახელმწიფომ ბოიკოტი გამოუცხადა მოსკოვის ოლიმპიურ თამაშებს, ლაუდამ ოლიმპიადის დედაქალაქში საკუთარი თვითმფრინავით ჩამოიყვანა თავისი თანამემამულე ელიზაბეტ ტოირერი — მომავალი ოლიმპიური ჩემპიონი ცხენის გაწვრთნაში.



სურათზე: მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი ნიკი ლაუდა (საჭესთან) და ორგზის ვიცე-ჩემპიონი ალენ პროსტი.

ლაუდამ კიდევ ორი წელი გაძლო უმოქმედოდ, 1982 წელს კი კვლავ I ფორმულის სარბოლო მანქანის (ამჯერად „მაკლარენის") საჭეს მიუჯდა. მაგრამ 82-ში მსოფლიოს უძლიერესი მრბოლელის სახელი ფინელმა კეკე როსბერგმა მოიპოვა, 83-ში — ბრაზილიელმა ნელსონ პიკემ. ბევრმა სპეციალისტმა საბოლოოდ ჩამოწერა ავსტრიელი: წლების მომატებასთან ერთად მისი შანსები სულ უფრო მცირდებოდა, მაგრამ თავად სპორტსმენი თურმე სხვაგვარად ფიქრობდა...

მსოფლიოს 1984 წლის ჩემპიონატის 15 ეტაპის შემდეგ, როგორც უკვე ვთქვით, ლაუდა 3,5 ქულით უსწრებდა II ადგილზე მყოფ პროსტს. ყველაფერი უნდა გადაეწყვიტა მსოფლიო პირველობის უკანასკნელ რბოლას, „პორტუგალიის დიდ პრიზს", რომელიც გასულ კვირას, 21 ოქტომბერს გაიმართა. თუ ლაუდა პროსტს მოუგებდა, ჩემპიონადაც, ცხადია, მას გამოაცხადებდნენ, მაგრამ თუ რბოლაში ფრანგი სპორტსმენი მოიპოვებდა წარმატებას, მაშინ ლაუდა, იმისთვის, რომ საერთო ჩათვლაში გამარჯვება აუცილებლად II ადგილზე უნდა გასულიყო (ყოველ ეტაპზე გამარჯვებულს ერიცხება 9 ქულა, II ადგილზე გასულს — 6, III — 4, IV —3, V — 2, VI — 1).

სასტარტო განლაგება პროსტისთვის ბევრად უფრო სახარბიელო გამოდგა—მისი მანქანა პირველ რიგში დააყენეს, ლაუდასი კი სადღაც შუაში აღმოჩნდა. ამის მიზეზი იყო საცდელ წრეზე ნაჩვენები საკმაოდ უღიმღამო შედეგი. პროსტმა ჩინებულად აიღო სტარტი და თავიდანვე სათავეში ჩაუდგა რბოლას. ლაუდას კიდევ ბევრი მანქანისთვის უნდა გაესწრო, სანამ პროსტის „მაკლარენის" კუდს მოჰკრავდა თვალს. წრე წრეს მისდევდა, ფრანგი მრბოლელის მანქანა კი არა და არ ჩანდა, მაგრამ ლაუდამ მაინც საოცარი სიზუსტით შეასრულა პროგრამა-მინიმუმი: ყველა მეტოქე ჩამოიტოვა და მაშინღა დამშვიდდა, როცა პროსტის მანქანას მოჰკრა თვალი. მისი გასწრება აღარც უცდია. ფრანგმა ყველაზე ადრე გადაკვეთა ფინიშის ხაზი და რამდენიმე წამში მსოფლიო ჩემპიონობა მიულოცა ლაუდას, რომელიც მას კუდში მიჰყვა. I ფორმულის მანქანებით მოასპარეზე ავტომრბოლელთა მსოფლიო ჩემპიონატების 35-წლიან ისტორიაში პირველად, გამარჯვებული ნახევარმა ქულამ გამოავლინა. ნიკი ლაუდამ მესამედ დაიპყრო მწვერვალი.

ქალაქ ეშტორილში გათამაშებული „პორტუგალიის დიდი პრიზი" 157-ე „დიდი პრიზი" იყო ლაუდას სპორტულ კარიერაში (ამ მაჩვენებლით იგი მხოლოდ აწ განსვენებულ გრეჰემ ჰილს ჩამორჩება). მის კოლექციაშია 24 „დიდი პრიზი", რომელთაგან 5 წლეულს დაიმსახურა. უფრო მდიდარი ნადავლი მხოლოდ წარსულში ცნობილ მრბოლელებს, ჯეკი სტიუარტსა (27) და ჯიმი კლარკს (25) აქვთ. ხუან მანუელ ფანხიომ, ისევე როგორც ლაუდამ, 24 გამარჯვება მოიპოვა. მაგრამ ავსტრიელი სპორტსმენი გაისადაც უმაღლესი წოდების მაძიებელთა შორის იქნება და უდავოდ შეეცდება სტიუარტის შედეგის გაუმჯობესებას.

ლაუდას შესაძლებელ მემკვიდრედ ასახელებენ 29 წლის პროსტს, რომლის დებიუტი მსოფლიო ჩემპიონატში არც თუ დიდი ხნის წინათ, 1980 წელს შედგა, მას მართლაც ჩინებული შედეგები აქვს: 73 „დიდი პრიზიდან" პროსტმა 16-ში გაიმარჯვა. წლეულს მან გაიმეორა სახელგანთქმული ჯიმი კლარკის რეკორდი — ერთ სეზონში 7 „დიდი პრიზი" მოიპოვა.

ნიკი ლაუდა, რა თქმა უნდა, შეეცდება, რაც შეიძლება გვიან გადასცეს ესტაფეტა პროსტს ან რომელიმე სხვა მრბოლელს. ამაში მას რკინისებური ნებისყოფა და დიდი გამოცდილება დაეხმარება.

ზოგიერთი სპეციალისტი ლაუდას მეტისმეტ რაციონალიზმს სწამებს. ამბობენ, თითქოს მას მანქანა დაჰყავს არა გულის, არამედ გონების კარნახით. შესაძლოა, ასეც იყოს. ყოველ შემთხვევაში, ლაუდას ერთხელ უთქვამს: „მსოფლიო ჩემპიონატი 16 რბოლისგან შედგება. მაშ რატომ უნდა შევწირო ყველაფერი მაინცდამაინც დღევანდელს?" ან კიდევ: „ამბობენ, რომ მე მებრძოლი არა ვარ. რა თქმა უნდა, შემიძლია ისე ვატარო მანქანა, რომ შეჯიბრებას გამოვეთიშო, ან ავარიაში მოვხვდე. ნუთუ ეს აუცილებელია? რბოლაში ბრძოლა საჭიროა მხოლოდ შესაფერის მომენტში, ეს მომენტი კი, ადრე თუ გვიან თავისით დგება".

იქნებ ვინმეს არც მოეწონოს ასეთი „სიფრთხილე", მაგრამ გვერწმუნეთ — ლაუდამ იცის, რას ამბობს.

დავით კავთარაძე.

• • •

რედაქტორის მოადგილე
თ. ბაჩიჩილაძე.

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096.
თბილისი, ლენინის ქ. № 14.
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო".

რედაქციის ტელეფონები:
სამდივნო — 93-97-52,
წერილების განყოფილება — 93-97-55,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-63
„მარჯვე" — 93-97-27, „შერანი" — 93-97-26

ჩვენი
ინდექსი
68435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. 380096, თბილისი ლენინის ქ. № 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22. უე 07466